საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე

წარმოებული სასამართლო დავები

სამინისტროებისა და თვითმმართველი ქალაქების წინააღმდეგ

(2012-2017 წწ)

შესავალი

საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემაში, რის გამოც სამსახურიდან გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეები ხშირად მიმართავენ სასამართლოს და ითხოვენ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანების გაუქმებას, სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურე აღადგინოს იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე, ასევე აუნაზღაუროს განაცდური ან/და კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კვლევა შეისწავლის საქართველოს სამინისტროებსა და თვითმმართველ ქალაქებში, 2012 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურიდან გათავისუფლების გამო სასამართლოში წარდგენილი სარჩელების რაოდენობასა და გათავისუფლების გასაჩივრებულ საფუძვლებს; ასევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შედეგებს, როგორიცაა: უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელეების სამსახურში აღდგენა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდილი განაცდურის/კომპენსაციის ოდენობა. გარდა ამისა, კვლევა აფასებს სასამართლო სისტემაში საქმის განხილვის პროცესს, კერძოდ: სასამართლოს ინსტანციებში გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხსა და დავის მიმდინარეობის საერთო ხანგრძლივობას.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის სახით მოწოდებულია სამინისტროებიდან და თვითმმართველი ქალაქებიდან (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, რუსთავი).

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამინისტროებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- კვლევის პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ სამინისტროებისა და თვითმმართველი ქალაქების წინააღმდეგ სულ შეტანილი იყო 382 სარჩელი (სამინისტროები - 321, თვითმმართველი ქალაქები - 61), რომელთაგან 368 სარჩელი წარადგინეს საჯარო მოხელეებმა (სამინისტრო - 319, თვითმმართველი ქალაქი - 49), ხოლო 14 სარჩელი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა (სამინისტრო - 2, თვითმმართველი ქალაქები - 12).

- საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლების საკითხებზე ყველაზე მეტი დავა ჰქონდათ: ა)შინაგან საქმეთა სამინისტროს (142); ბ) თავდაცვის სამინისტროს (98); გ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (30); დ) ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა (15) და ე) კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (12). ხოლო, საჯარო მოსამსახურეებს სამსახურიდან გათავისუფლების გამო არც ერთი სარჩელი არ წარუდგენიათ: ა) იუსტიციის; ბ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; გ) ენერგეტიკის; დ) ფინანსთა; ე) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ე) ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მონისტრის აპარატის წინააღმდეგ.

- საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლების საკითხებზე ყველაზე მეტი დავა ჰქონდათ: ა) თბილისის მერიას (28), ბ) ქუთაისის მერიას (18) და რუსთავის მერიას (10), ხოლო ყველაზე ცოტა: ა) ქუთაისის საკრებულოს (0) და ბათუმის მერიას (1). ინფორმაცია არ მოუწოდებიათ ბათუმისა და ფოთის საკრებულოებს.

- საჯარო მოხელეების მიერ სამინისტროებისა და თვითმმართველი ქალაქების წინააღმდეგ სასამართლოში გასაჩივრდა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგი საფუძვლები: ა) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - 108; ბ) რეორგანიზაცია -97; გ) ატესტაციის შედეგები 15; დ) პირადი განცხადება - 14; ე) დროებითი მოვალეობის შემსრულებლის ვადის გასვლა -8; ვ) სასამართლოს კანონიერ ძალაი შესული გამამტყუნებელი განაჩენი -2; ზ) გამოსაცდელი ვადის გასვლა -1;

- კვლევის პერიოდში 153 საქმეზე დასრულდა წარმოება და კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო 166 საქმის განხილვა კვლავ მიმდინარეობს სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებიდან, სასამართლომ სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილა 83

სარჩელი; არ დააკმაყოფილა 61 სარჩელი; საქმე მორიგებით დასრულდა 4 შემთხვევაში; წარმოება შეწყდა 40 შემთხვევაში; ხოლო მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო, განუხილველი დარჩა 19 საქმე;

- სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ხუთ სამინისტროს (შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის) დაევალა უკანონოდ გათავისუფლებული 25 საჯარო მოხელის სამსახურში აღდგენა, რომელთაგან 13 საჯარო მოხელე აღადგინეს სამსახურში, 2 საჯარო მოხელე ვერ აღადგინეს ტოლფასი თანამდებობის არარსებობის გამო, ხოლო ერთმა საჯარო მოხელემ უარი თქვა სამსახურში დაბრუნებაზე;

- სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, 4 თვითმმართველ ქალაქს დაევალა 25 საჯარო მოხელის აღდგენა (ქუთაისის მერია -8, თბილისის მერია - 6, თბილისის საკრებულო -5, ფოთის მერია -5, რუსთავის მერია -1), რომელთაგან 23 საჯარო მოხელე აღადგინეს სამსახურში, ხოლო 2 მოხელე (თბილისის საკრებულო) ვერ აღადგინეს ტოლფასი თანამდებობის არარსებობის გამო;

- სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს (12), კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (4), თბილისის საკრებულოს (12) და ფოთის მერიას (4) დაავალა საქმესთან დაკავშირებით დამატებითი გარემოებების გამოკვლევა და ახალი აქტის გამოცემა, თუმცა საჯარო დაწესებულებებმა პირველადი გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს და არ აღადგინეს გათავისუფლებული საჯარო მოხელეები. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილებები 13 საქმეზე დამატებით გასაჩივრდა და სასამართლომ თვითმმართველ ქალაქებს (თბილისი და ფოთი) უკვე პირდაპირი წესით დაავალა სამსახურში აღდგენა.

- მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოებში საქმის განხილვა, როგორც წესი, სამ ინსტანციაში მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებები სამივე ინსტანციაში საჯარო დაწესებულების მიერ გასაჩივრდა 95 საქმეზე (სამინისტრო-69, თვითმმართველი ქალაქი - 25), მოხელის მიერ - 70 საქმეზე (სამინისტრო - 49, თვითმმართველი ქალაქი -21), ხოლო ორივე მხარის მიერ -19 შემთხვევაში.

- მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქმის განხილვის ხანგრძლივობა მხოლოდ პირველ ინსტანციაში 7-დან 9 თვემდე გრძელდება, ხოლო სამივე ინსტანციაში საქმის მიმდინარეობა საშუალოდ 1-დან 3 წლამდე მიმდინარეობს;

- სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამინისტროებმა 27 საჯარო მოხელეს აუნაზღაურეს განაცდური სულ 373 038 ლარის ოდენობით. ხოლო, თვითმმართველი ქალაქების მიერ საჯარო მოსამსახურეებისათვის გადახდილი განაცდურის ოდენობაა 279 231 ლარი.

- მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეებში პირველი ინსტანციის ყველა გადაწყვეტილება იყო მოხელის სასარგებლოდ და სამინისტროების (სულ 22 საქმეზე: თავდაცვის სამინისტრო -12; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო -3; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო -1; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 1; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო -1, შსს- არ მოგვაწოდა ჩაშლილი ინფორმაცია 9 საქმეზე) და თვითმმართველი ქალაქების (სულ 17 საქმეზე: თბილისის მერია -10, თბილისის საკრებულო -6, ქუთაისის მერია, რუსთავის საკრებულო-1) მიერ მოხდა მათი გასაჩივრება სამივე ინსტანციაში, თუმცა წარდგენილი სარჩელები უმეტეს შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქმის განხილვის პერიოდი და განაცდურის სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა;

1. სამინისტროებიდან გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების სასამართლო დავები

სამინისტროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კვლევის პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ სამინისტროების წინააღმდეგ ჯამში შეტანილი იყო 321 სარჩელი, რომელთაგან 319 სარჩელი წარადგინეს საჯარო მოხელეებმა, ხოლო 2 - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა. საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლების საკითხებზე ყველაზე მეტი დავა ჰქონდათ: ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს; ბ) თავდაცვის სამინისტროს; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს;[1] ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.



[1] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მოგვაწოდა ინფორმაცია 2015 წლის 1 ივლისიდან 1 ნოემბრის ჩათვლით. სამინისტროს 2017 წლის 1 ნოემბრის წერილის (#317008556409) თანახმად, „2015 წლის 1 ივლისს ლიკვიდირებული იყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და განხორციელდა სამინისტროს რეორგანიზაცია. შესაბამისად, ამ პერიოდიდან ხორციელდება მონაცემების ცენტრალიზებულად დამუშავება. 2012-2015 წწ ანალოგიურ მონაცემების, სხვადასხვა ობიექტური გარემოების, მათ შორის საჭირო დროისა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, გონივრულ ვადაში დამუშავება შეუძლებელია.“

საჯარო მოსამსახურეებს სამსახურიდან გათავისუფლების გამო არც ერთი სარჩელი არ წარუდგენიათ შემდეგი უწყებების წინააღმდეგ: ა) იუსტიციის; ბ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; გ) ენერგეტიკის; დ)შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ე) სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

საჯარო მოხელეების მიერ სასამართლოში გასაჩივრდა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგი საფუძვლები: ა) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება (62); ბ) რეორგანიზაცია (97); გ) პირადი განცხადება (13); დ) ატესტაციის შედეგები (4); ე) დროებითი მოვალეობის შემსრულებლის ვადის გასვლა (4); ვ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი -2;.

კვლევის პერიოდში 153 საქმეზე დასრულდა წარმოება და კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო 166 საქმის განხილვა კვლავ მიმდინარეობს სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებიდან, სასამართლომ სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილა -49 სარჩელი; არ დააკმაყოფილა - 44 სარჩელი; საქმე მორიგებით დასრულდა -4 შემთხვევაში; საქმეზე შეწყდა წარმოება -37 შემთხვევაში; ხოლო მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო განუხილველი დარჩა 19 საქმე.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ხუთ სამინისტროს (შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის) დაევალა უკანონოდ გათავისუფლებული 25 საჯარო მოხელის სამსახურში აღდგენა, რომელთაგან 13 საჯარო მოხელე აღადგინეს სამსახურში, 2 საჯარო მოხელე ვერ აღადგინეს ტოლფასი თანამდებობის არარსებობის გამო, ხოლო ერთმა საჯარო მოხელემ უარი თქვა სამსახურში დაბრუნებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 4 შემთხვევაში დაავალა საქმესთან დაკავშირებით დამატებითი გარემოებების გამოკვლევა და ახალი აქტის გამოცემა, თუმცა სამინისტრომ პირველადი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და არ აღადგინა გათავისუფლებული საჯარო მოხელეები.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოებში საქმის განხილვა, როგორც წესი, სამ ინსტანციაში მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებები სამივე ინსტანციაში საჯარო დაწესებულების მიერ გასაჩივრდა 46 საქმეზე, მოხელის მიერ - 49 საქმეზე, ხოლო ორივე მხარის მიერ - 14 შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მხოლოდ პირველ ინსტანციაში საქმის ხანგრძლივობა 7-დან 9 თვემდე გრძელდება, ხოლო სამივე ინსტანციაში საქმის მიმდინარეობა საშუალოდ 1-დან 3 წლამდე მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სამინისტროებმა სასამართლოს დავალებით სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამინისტროებმა 27 საჯარო მოხელეს აუნაზღაურეს განაცდური სულ 373 038 ლარის ოდენობით..



მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეებში პირველი ინსტანციის ყველა გადაწყვეტილება იყო მოხელის სასარგებლოდ და სამინისტროების მიერ (შინაგან საქმეთა სამინისტრო -23; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო -3; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო -1; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 1; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო -1, შსს- არ მოგვაწოდა ჩაშლილი ინფორმაცია 9 საქმეზე) მოხდა მათი გასაჩივრება სამივე ინსტანციაში, თუმცა წარდგენილი სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქმის განხილვის პერიოდი და განაცდურის სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.

2. თვითმმართველი ქალაქებიდან გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების სასამართლო დავები

კვლევის პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ თვითმმართველი ქალაქების წინააღმდეგ ჯამში შეტანილი იყო 73 სარჩელი, რომელთაგან 61 სარჩელი წარადგინეს საჯარო მოხელეებმა, ხოლო 12 - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა. საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლების საკითხებზე ყველაზე მეტი დავა ჰქონდათ: ა) თბილისის მერიას (28), ბ) ქუთაისის მერიას (18) და რუსთავის მერიას (10), ხოლო ყველაზე ცოტა: ა) ქუთაისის საკრებულოს (0), თბილისის საკრებულოსა (1) და ბათუმის მერიას (1).



თვითმმართველი ქალაქების დონეზე, საჯარო მოხელეების მიერ სასამართლოში გასაჩივრდა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგი საფუძვლები: ა) დისციპლინური პასუხისმგებლობა (12), ბ) რეორგანიზაცია (10), გ) ატესტაციის შედეგები (11), დ) პირადი განცხადება (1); ე) დროებითი მოვალეობის შემსრულებლის ვადის გასვლა (4). ხოლო, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებმა გაასაჩივრეს გათავისუფლების ისეთი საფუძვლები, როგორიცაა: ა) შრომის ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა -2; ბ) ხანგრძლივი შრომისუუნარობა - 1; გ) პირადი განცხადება -1; დ) ხელშეკრულების ვადის გასვლა - 1 და ე) კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელის გათავისუფლება -1.

კვლევის პერიოდში, 53 საქმეზე დასრულდა წარმოება და კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო 20 საქმის განხილვა კვლავ მიმდინარეობს სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებიდან, სასამართლომ სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილა -34 სარჩელი; არ დააკმაყოფილა - 17 სარჩელი; ხოლო წარმოება შეწყდა - 3 საქმეზე.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, 4 თვითმმართველ ქალაქს დაევალა 25 საჯარო მოხელის აღდგენა (ქუთაისის მერია -8, თბილისის მერია - 6, თბილისის საკრებულო -5, ფოთის მერია -5, რუსთავის მერია -1), რომელთაგან 23 საჯარო მოხელე აღადგინეს სამსახურში, ხოლო 2 მოხელე (თბილისის საკრებულო) ვერ აღადგინეს ტოლფასი თანამდებობის არარსებობის გამო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლომ თბილისის საკრებულოს 12 საქმეზე და ფოთის მერიას 4 საქმეზე დაავალა საქმესთან დაკავშირებით დამატებითი გარემოებების

გამოკვლევა და ახალი აქტის გამოცემა, თუმცა დაწესებულებებმა პირველადი გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს და არ აღადგინეს გათავისუფლებული საჯარო მოხელეები, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებები 13 საქმეზე დამატებით გასაჩივრდა და სასამართლომ თვითმმართველ ქალაქებს უკვე პირდაპირი წესით დაავალა სამსახურში აღდგენა.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოებში საქმის განხილვა, როგორც წესი, სამ ინსტანციაში მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებები სამივე ინსტანციაში თვითმმართველი ქალაქის მიერ გასაჩივრდა 25 საქმეზე, მოხელის მიერ - 21 შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მხოლოდ პირველ ინსტანციაში საქმის ხანგრძლივობა 7-დან 9 თვემდე გრძელდება, ხოლო სამივე ინსტანციაში საქმის მიმდინარეობა საშუალოდ 1-დან 3 წლამდე მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში, თვითმმართველი ქალაქების მიერ საჯარო მოსამსახურეებისათვის გადახდილი განაცდურის ოდენობაა 258 865 ლარი.



იმ საქმეების უმეტესობა, სადაც თვითმმართველ ქალაქს დაეკისრდა განაცდურის გადახდა მიმდინარეობდა სამივე ინსტანციაში და ძირითადად გასაჩივრებული იყო საჯარო დაწესებულების მიერ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქმის განხილვის ხანგრძლივობა და გადასახდელი განაცდურის ოდენობა.

რეკომენდაციები:

კვლევის საფუძველზე, საია საჯარო დაწესებულებებს წარუდგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

- საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება, რათა შემცირდეს სასამართლოს მიერ გაუქმებული გადაწყვეტილებების რაოდენობა და საჯარო დაწესებულებისათვის დამდგარი უარყოფითი შედეგები;

- საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად უკანონოდ გათავისუფლებული ყველა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენა იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე;

- სასამართლოს მიერ საქმის დამატებითი განხილვისა და ახალი აქტის გამოცემის დავალებისას, საჯარო დაწესებულებამ სათანადოდ გამოიკვლიოს საქმის დაბრუნების მიზეზები და, ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში, შეცვალოს თავდაპირველი გადაწყვეტილება საჯარო მოსამსახურის სასარგებლოდ;

- საჯარო დაწესებულებებმა შეცვალონ სასამართლო გადაწყვეტილების სამივე ინსტანციაში გასაჩივრების პოლიტიკა და თავი შეიკავონ სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებისაგან, თუ გადაწყვეტილება სათანადოდ დასაბუთებულია და ზემდგომი ინსტანციის მიერ გაუქმების შესაძლებლობა დაბალია, რათა შეამცირონ საქმის განხილვის პერიოდი და საჯარო მოსამსახურისათვის განაცდურის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა.